



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მიქაელი მიქელი (დვალი)

მიქაელი მიქელი (დვალი), XI ს. კალიგრაფი. მოღვაწეობდა შავ მთაზე, კალიპოსის ღვთისმშობლის მონასტერში. სვიმეონ მღვდლის დაკვეთით 1054 მას, იოანე დვალსა და გიორგისტან ერთად, გადაუწერია ალავერდის ოთხთავი (A-484), რ-იც გამოირჩევა განსაკუთრებული მხატვრული გაფორმებით. მ-ის გადაწერილია, აგრეთვე, „ჟამნი“ (Jer-23), იოანე ოქროპირის „იოანეს სახარების თარგმანები“ (Jer-145; ამ წიგნის მთავარი გადამწერი ყოფილა მიქაელი ჩიხუარელი) და 1049 სვინაქსარი (Jer-142).

იხ. აგრეთვე სტ. [დვალები](#).
